



მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №9

2017 წლის 10 თებერვალი

ქ. მცხეთა

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიღაურაში რეგისტრირებული მოქალაქე მერაბ მახარაშვილის (პ/ნ 31001011372) სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებლად მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მეორე ნაწილის, „მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №2 დადგენილების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-4 მუხლის მე-6 პუნქტისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 9 თებერვლის №05/4/1986 მომართვის საფუძველზე,

1. მიეცეს თანხმობა მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას, დააფინანსოს სოფელ ჯიღაურაში მცხოვრები მოქალაქე მერაბ მახარაშვილის (პ/ნ 31001011372) სამედიცინო მომსახურება 2 940 (ორიათასცხრასორმოცი) ლარის ოდენობით.
2. განკარგულების შესახებ ეცნობოს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება, გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: მცხეთა, სამხედროს ქ №17.

საკრებულოს თავმჯდომარე



ჯემალ სოლოლაშვილი